საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №117/04
2013 წლის 21 ნოემბერი

ქ. თბილისი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №33/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №33/04 ბრძანებით დამტკიცებულ წესსა და პირობებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) სათავო ოფისისა და ფილიალების/სერვისცენტრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის/აქტების ასლი.“;

ბ) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 3^1 პუნქტი

„3^1. ამ წესის მიზნებისათვის ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული. უცხოენოვანი დოკუმენტების წარმოდგენა ხორციელდება ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.“;

გ) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დირექტორის შემდგომი ცვლილების შემთხვევაში, მისომ ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს მისოს რეგისტრაციის დროს დირექტორების შესახებ წარსადგენი დოკუმენტაცია და ინფორმაცია.”;

დ) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 5^1 პუნქტი

„5^1. მისამართის ცვლილების ან/და ახალი ფილიალის გახსნის შემთხვევაში მისომ უნდა წარმოადგინოს ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილი დოკუმენტაცია.“;

ე) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 6^1 პუნქტი:

„6^1. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე უარს განაცხადებს მისოს რეგისტრაციაზე, ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომლის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტს“;

ვ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) მისო არ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობითა და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობით მითითებებს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე**